პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 201 (20542) — ხუთშაბათი, 31 აგვისტო, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესია 1989 წლის 30 სექტემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერკეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 30 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იტყობინება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეთორმეტე სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.
2. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.
3. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 20 ივნისის დადგენილებით შექმნილი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების ინფორმაციები გაწეული მუშაობის შესახებ.
5. ცვლილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

ხუთშაბათი, ფელი მეოთხე

„ოქროს მერკურის“ მფლობელთა ნარმატებები

მსოფლიო ბაზარზე გასვლის გარანტია იძლევა ფოთის გემთშემკეთებელი — გემთსაშენებელი ქარხნის გემსარიხებზე დამზადებული წყალქვეშა ფრთიანი თომალდების ჩინებული ხარისხი. ყოველწლიურად ფართოვდება საზღვარგარეთ მიწოდების გეოგრაფია. კომფორტული თბომავლების უკვე მესამე წყება დაცურავს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, იტალიის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, თურქეთის, ბულგარეთის, კუბისა და სხვა ქვეყნების წყლებში.

კარგი საწარმოო მიღწევებისა და ეფექტიანი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის ფოთელ გემთმშენებლებს მიენიჭათ „ოქროს მერკურის“ საერთაშორისო პრემია.

ქარხანა თავის დარგში ერთ-ერთი დიდმწარმოებლური საწარმოა: იგი სისტემატურად ზრდის სამუშაოთა ტემპს, წარმატებით ართმევს თავს როგორც ფრთიანი თბომავლების გამოშვებას, ისე თევზსაჭერი გემების შეკეთებას.

მანოლი ნანავა ქარხანაში ყველაზე ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნოლოგია. აქ დაიწყო მან მუშაობა მონტაორად ცხრა წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე. შემდეგ სწავლობდა ნიკოლაევის გემთმშენებლობის ინსტიტუტში. შარშანდლიდან ქალაქშილი კვლავ ქარხანაშია. ახალგაზრდა სპეციალისტს დიდი ნდობა გამოუცხადეს — მილსადენი საამქროს კომუნისტებმა იგი პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

სურათებზე: მანოლი ნანავა; ქარხნის ნავმისადგომი, სადაც მიმდინარეობს თევზსაჭერი ტრაულერების შეკეთება.

ი. ბოხორნელიძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

29 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონების პროექტების მოსამზადებელი კომისიისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განმრახულობათა კომისიის გაერთიანებული სხდომა.

სხდომის მონაწილეებს განსახილველად წარუდგინეს საქართველოს სსრ სამივე კანონის პროექტები. მათ გამო მოხსენებანი გააკეთეს ამ კანონპროექტების მომამზადებელი კომისიის შესაბამისი სამუშაო ჯგუფების თავმჯდომარეებმა — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლევან ალექსიძემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა გივი ინწკირველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თვალსაზრისი გამოთქვა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა რაულ ჯახიმ.

წარმოდგენილი კანონპროექტების განხილვაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრი ალექსანდრე კავსაძე, საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდის საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორი თენგიზ ბუაჩიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი როინ მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკოლოზ ჭავჭავაძე, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე აკაკი ბაქრაძე, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ალექსიძე, საქართველოს სსრ პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვახტანგ კვარაცხელია, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ზურაბ რატიანი, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი რობინზონ ჩიხლაძე, საქართველოს სსრ სახმწინის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გურამ მირიანაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე აკაკი კარანაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვიქტორ შარაშენიძე.

განხილვის შედეგები შეაჯამა გივი გუმბარიძემ.

კანონპროექტთა განხილვის დროს აღინიშნა, რომ სამუშაო ჯგუფებმა უაღრესად შემუშავებულ ვადებში გასწიეს დიდი და სერიოზული მუშაობა: შექმნილია მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ბევრ სიახლეს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასახავენ ალტერნატიულ პოზიციებს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველაზე პრინციპულ საკითხებში. ამრიგად, გადაიდგა პირველი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც შემდგომში გათვალისწინებული იქნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის თვალსაზრისით.

ბევრი ორსებითი სიახლეა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონთა პროექტებშიც. მაგალითად, ახლა მოქმედთაგან განსხვავებით, მათში აღნიშნულია, რომ პოლიტიკურ შეხედულებათა გამო არ შეიძლება შეიზღუდოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლებები. კანონპროექტებით გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობის მოწვევა, სოლოქო წინასაარჩევნო კრებების ჩატარება. იმათ შორის, ვისაც ეძლევა უფლება დასახელოს წარმომადგენლები საარჩევნო კომისიებში, დეპუტატობის კანდიდატები და ა. შ. ამერიდან იქნებიან საზოგადოებრივი მოძრაობებიც. რაც შეეხება თვით არჩევნებს, გადაწყვეტილია ისინი მიეწყოს მხოლოდ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ამასთან მიზანშეწონილად არის მიჩნეული არ შეიზღუდოს დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი.

ამავე დროს სხდომაზე ისიც ითქვა, რომ ახალ კანონთა პროექტებში ჯერ კიდევ რჩება ცალკეული საკითხები, რომლებიც დამატებით შესწავლას, მათ ღრმად მოფიქრებულ და ყოველმხრივ აწონ-დაწონილ დამუშავებას მოითხოვს. გაუზიარეს რა ერთმანეთს აზრები ყოველ ამ საკითხზე, ორატორებმა გამოთქვეს კონსტრუქციული წინადადებანი. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა შეიქმნას ისეთი კანონპროექტები, რომლებიც სავსებით შეესაბამება დროის სულისკვეთებას, რესპუბლიკისა და მისი მოსახლეობის ინტერესებს, ამასთან დაკავშირებით კომისიამ სამუშაო ჯგუფს დაავალა ერთხელ კიდევ გადასინჯონ და უახლოეს ხაზში — უკვე მიმდინარე კვირის დამლევამდე — წარმოადგინონ სამივე კანონის პროექტების საბოლოო ვარიანტები მათი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. (საძინფორმი).

სიტყვა პარტიის ეროვნულ პლატფორმაზე

კმაყოფილებაც, სურვილიც...

დემოკრატიისა და საჯაროობის გეთარებაში მთელი სიმძაფრით გამოვლინდა ეროვნულთან ურთიერთობის პრობლემები. თავი იჩინა მრავალი წლის დაგროვილ ინფორმაციისა და ეროვნებათა კონტაქტი ინტერესების ხანგრძლივი უგულებელყოფის შედეგებმა, გადახრებმა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მეგრაციულ პროცესებში, რესპუბლიკის სუვერენიტეტის დარღვევაში, დღის წესრიგში დადგა ფედერაციის ინფრასტრუქტურის, მისი მოქმედების პრინციპების, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოების აუცილებლობა.

ასეთ პირობებში გამოქვეყნებულ პარტიის ეროვნული პოლიტიკის პლატფორმის პროექტს გააჩნდა ჟღერადობა ენა ელოდა მას. ამჟღოფილებას გამოთქვამენ ამ დოკუმენტის გამოქვეყნების გამო და გვსურს ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე შენიშვნა და სურვილი:

ცნობილია, რომ ამ ბოლო წლებში ხშირად გვსმენია კრიტიკა გამოთქმისა — „ძლიერი ცენტრი, ძლიერი რესპუბლიკა“. პროექტში იგი ნაწილობრივ შეიცვალა ფორმულით: ძლიერი კავშირის გარეშე არ არსებობს ძლიერი რესპუბლიკები, ძლიერი რესპუბლიკების გარეშე არ არის ძლიერი კავშირი. „უკვე ბევრი მიუთითებს, რომ პირიქით უნდა იყოს — ძლიერი რესპუბლიკის გარეშე არ არსებობს ძლიერი კავშირი, მეორე და მთავარი, რაც კმაყოფილებას იწვევს, არის კავშირისა და რესპუბლიკების კომპეტენციების და უფლებათა ერთგვაროვანი განაწილების ერთ-ერთ ერთგვაროვნებულებათა განსაზღვრა. ჩვენი შენიშვნა პირველ რიგში ეხება პროექტში ჩამოყალიბებულ კავშირის კომპეტენციას. პროექტის მიხედვით: „კავშირს უნდა დაუმკვიდრდეს პოლიტიკური ნყობილების საფუძვლების დადგენისა და განვითარებისათვის ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის, საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის, პროგრესის ზოგადარეობის, ინტეგრაციული პროცესების ეფექტიანი გამოყენებისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციის დარგში ხელრთო ამოცანების კოორდინაციისა და გადაწყვეტისათვის უფლებამოსილებანი. კავშირს უნდა დაუმკვიდრდეს აგრეთვე უფლებამოსილებანი, რომლებიც საჭიროა ქვეყნის სახალხო სამეურნეო კომპლექსის დინამიკური და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის“.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა უფლებები დარჩათ რესპუბლიკებს? პარადოქსულად ეღერს პროექტის მომდევნო ამბავი: „გადაეცეთ რესპუბლიკებს ყველა უფლება, რომლებიც შეესაბამება მათს, როგორც სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოთა სტატუსს. მათ უფლება აქვთ გადაწყვიტონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხი იმათ გარდა, რომლებსაც ისინი ნებაყოფლობით გადასცემენ კავშირის გამგეობლობაში“. გაუგებარია აქ „ყველა უფლებაში“ რა იგულისხმება. კავშირის კომპეტენციის ჩამოთვლა თუ შეიძლებოდა, რატომ არ გავრცელდა იგი რესპუბლიკების კომპეტენციებზე? ეს ცენტრს ხომ არ უტოვებს უფლებას თვითნებურად შეაფასოს მოვლენები, „სხვანაირად“ გაიგოს რესპუბლიკების უფლებები. უდავოდ მკითხველს ასეთი შთაბეჭდილება ექმნება. ჩვენი აზრით, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ეფექტიანი გამოყენების უფლება უნდა შევიდეს რესპუბლიკების კომპეტენციაში.

პროექტში მიზანშეწონლად არის ცნობილი რუსეთის სფსრ-ში შეიქმნას მმართველობის დამატებითი ორგანოები, მათ შორის ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და სხვანი. ამასთან პროექტის მოთხოვნით რუსეთის სფსრ ტერიტორიაზე პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიზნით უნდა შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო (სამდივნო). ასეთივე გზას შეიძლება დაადგნენ პროფკავშირები, კომკავშირი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც.

ჩვენი აზრით უნდა შეიქმნას არა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო, ან სამდივნო, როგორც პროექტი ითვალისწინებს, არამედ რუსეთის კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, როგორც სხვა რესპუბლიკებშია.

შენიშვნას იმსახურებს აგრეთვე პროექტის დებულება: „განვიხილოთ ამ შესაძლებლობისა და წესის საკითხი, რომ გადავიდნენ რსფსრ ავტონომიური ოლქები, თუ ასეთი მათი მოსახლეობის ნება და დასაუთებულია ასეთი გადაწყვეტილება, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების უშუალო დაქვემდებარებაში“. ისმის კითხვა: რაგომ მხოლოდ რუსეთის ფედერაციას ეძლევა ასეთი უფლება და, ვთქვათ, საქართველოს არა? იგი უნდა ვრცელდებოდეს ყველა იმ მოკავშირე რესპუბლიკაზე, რომელშიც ეროვნული ავტონომიური დაყოფა არსებობს.

პროექტში მითითებულია, რომ მიზნებისა და იდეალების ერთიანობით განპირობებულმა პროცესებმა ობიექტურად გამოიწვიეს ახალი სოციალური ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება და თითქოს ყოველივე ეს წინანდელი შუღლისა და უნდობლობის თანდათანობით დაძლევის, ხალხთა მეგობრობის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ამ შემთხვევაშიც, ჩვენი აზრით, ვეყრდნობით უყრაობის პერიოდში ჩამოყალიბებულ ფორმულირებას: ერებს შორის შუღლი და უნდობლობა დაძლეული რომ იყოს, მაშინ არც ამ პროექტის გამოქვეყნება იქნებოდა საჭირო.

პროექტში მართებულად არის მითითებული: „ეროვნული განვითარებისა და ერთოვნებათაშორისო ურთიერთობის პრობლემებს, რომელსაც ახლა აწყდება ქვეყანა, ღრმად აქვს ფესვები გადგმული წარსულშიც. უნდა გავერკვეთ ამაში და მტკიცედ გავილაშქროთ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც არ შეესაბამება სოციალისტურ იდეალებსა და პრინციპებს“. ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს და პროექტში მკაფიოდ ისახოს 20-იანი წლების დასაწყისში საზღვრების გადანაწილებასა და ავტონომიური ერთეულების ფორმირებაში დაშვებული შეცდომების აღიარებასა და შეფასებას.

დაბოლოს, პროექტში მითითებულია, რომ რუსეთმა „... გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ეროვნული ნინააღმდეგობის ჩამორჩენილობის დაძლევაში“. ეს დაახლოებით ისე ეღერს, როგორც ხახალხო დეპუტატთა საბჭოების პირველ ყრილობაზე მწერალი რასპუტინი ქადაგებდა. ყოველად დაუშვებლად მიგვაჩნია არარუხი ხალხების ჩამორჩენილობის დაძლევაში მხოლოდ რუსეთის დამსახურების აღნიშვნა და, ამასთან ერთად, მკაფიოდ უნდა ითქვას სხვა ხალხების დახმარების შესახებ რუსეთის მიმართ. ცალკე უნდა აღინიშნოს აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდახმარების მნიშვნელობის შესახებ.

სამართლებრივ სახელმწიფოში ერთაშორის ურთიერთობის სრულყოფის მექანიზმის შექმნისას უნდა ვიხელმძღვანელოთ თანამედროვე რეალობით. შეიცვალა ყველა რესპუბლიკის ეკონომიკა, დემოგრაფია, სოციალური და ეროვნული სტრუქტურა, გაიზარდა ეროვნული თვითშეგნება. ყოველივე ეს მოითხოვს ერთაშორისი ურთიერთობისადმი გონივრულ და სამართლიან მიდგომას, პოლიტიკური გარანტიების განმტკიცებას.

კოტე ტოტოჩავა,
პროფესორი.

საზღვარგარეთელ პარტნიორებთან კონტაქტების გაფართოებისათვის

სხდომა გამართა რსფსრ-ის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის საკითხთა კომისიამ. სხდომას უძღვებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა.

კომისიამ განიხილა საქართველოს და თურქეთის ეკონომიკური, საკავშირო და კულტურული თანამშრომლობის მდგომარეობა და პერსპექტივები. გამოსვლებში აღინიშნა, რომ გასული წლის აგვისტოში საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნამ სარფში, აგრეთვე სსრ კავშირსა და თურქეთს შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის დაწყებამ აჭარის ასს რესპუბლიკასა და მთელ საქართველოს შეუქმნა რეალური შესაძლებლობანი დაამკვიდრონ და გააუმჯობესონ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა, მოაგვარონ საზღვროსპირა ვაჭრობა, ჩამოაყალიბონ ერთობლივი საწარმოები, შექმნან თავისუფალი ეკონომიკური ზონები და ა. შ. ეს ხელს შეუწყობს უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას და ინფრასტრუქტურის შექმნას, ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების გახსნას, რაც სტიმულს მიანიჭებს რეგიონის მძლავრ განვითარებას.

კომისიამ აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს გამოიკვეთა შეიმჩნევა საქმიანი წრეების წარმომადგენლთა კონტაქტების, კულტურული თანამშრომლობისა და ტურიზმის დარგში; ამასთანავე დაადასტურა, რომ საქართველოს სსრ საგარეო-სავაჭრო და სხვა ორგანიზაციები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ თურქეთთან საზღვრისპირა ვაჭრობის დამყარება-მოგვარებისათვის, ინერტულობას, მოუქნელობასა და არაკომპეტენტურობას იჩენენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტის აღჭურვილობა, სხვადასხვა სამსახურის თანამშრომელთა მუშაობის პირობები ძალზე დაბალ დონეზეა, არ იძლევა შესაძლებლობას გაიზარდოს საზღვრის გადმა-გამოღმა ტრანსპორტის მიმოსვლის ინტენსიურობა. უკვე დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია საზღვარგარეთის ქვეყნების სასწავლებლებში რესპუბლიკის მოსწავლეთა, სტუდენტთა და სპეციალისტთა სწავლებისა და პროფესიული ცოდნის გაღრმავების ორგანიზაციის შესახებ. ქართველი ახალგაზრდობის რამდენიმე ათეული წარმომადგენელი უკვე გაემგზავრა ან ემზადება გაემგზავროს საუნივერსიტეტო სწავლებლად ევროპისა და ამერიკის მეერთებული შტატების წამყვან ცენტრებში.

მიღწეულია მორიგება ლიეჟის (საფრანგეთი), ვარშავის, კრაკოვის, ლობძსა (პოლონეთი) და სხვა ქალაქების კოლეჯებსა და კლასიკურ გიმნაზიებში ბოსწავლეთა რამდენინე ჯგუფის სწავლების შესახებ.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც. ყველა ამ საკითხის გამო მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი. (საძინფორმი).

საკვებწარმოება—დამკვრელური უგანი

საკუთარი ძალისხმევით, მეგობართა დახმარებით

გურჯაანის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში საკვების წარმოება, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად ჩამორჩენია. ჯერჯერობით ნაცელად 7.000 ტონისა, დამზადებულია 1.200 ტონა თივა; საგებმო 22.680 ტონის მაგიერ — 4.800 ტონა სილოსი. საბანეროდ არის შესრულებული სენაჟის დამზადების გეგმა და სხვა.

საკვების სიმცირეს თავისი განმსაზღვრელი მიზეზი აქვს — ხანგრძლივმა გვალვამ დააკნინა ან სულაც დაანადგურა როგორც სამეფოდგომო, ისე საგაზაფხულო ნათესები. მდგომარეობის სიალუსტრაციოდ ერთი ასეთი ფაქტიც ,მარა: 2990 ჰექტარი სამეფოდგომო ხორბლის ფართობიდან 205 ჰექტარიღა გადარჩა. სრულიად არ აღმოცენდა ან სუსტად განვითარდა გადახნულზე დათესილი ბალახები და სიმინდი. ერთი სიტყვით, მეცხოველეობისთვის მეტად რთული პირობები შეიქმნა. არსებული სულადობის შენარჩუნება დღეს გურჯაანელ მეცხოველეთათვის მთავარი საზრუნავია, საამისოდ კი საჭიროა ყველა რეზერვის სრულად გამოყენება.

თუ წინა წლებში მხოლოდ სპეციალიზებულ რგოლებს ეკალებოდათ ზამთრის მარაგთა ფერმების უზრუნველყოფა, — ამბობს გურჯაანის აგროსამრეწველო გაერთიანების საკვებწარმოების აგრონომი მალხაზ ფეურცელაძე,— წელს საკვებს დამზადების დავალება ყველა საწარმოო ბრიგადას მიეცა.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, ბოლოდროინდელმა წვიმებმა და რწყვამ გამოაცოცხლა ნათესი თუ ბუნებრივი სათიბები. ამის გამოც არის, რომ გურჯაანელები იმედს არ კარგავენ და ცდილობენ ერთ პირობით სულზე გეგმით გათვალისწინებული 20,6 საკვები ერთეულის დამზადებას. ეს თქმა უნდა, საამისოდ, ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო.

მაინც როგორ აპირებენ გურჯაანელები საკვების მარაგის შევსებას? ამჟამად ითიბება ბალახი არხის პირებზე, ქარსაცავ ზოლებში, შიდასავენახე გზებსა და ტექნიკისათვის მიუღებელ ადგილებში. ამ გზით 1.000 ტონაზე მეტი თივა დამზადდება. ოთხას ჰექტარზე მეტ ფართობზე უთესიათ საზზგადოებრივ მეურნეობებს საზამთრო. მოსავლის აღების შემდეგ ამ ნაკვეთებიდანაც 700 ტონამდე თივა დამზადდება. დიდი ადგილი დაეთმობა ტურნეფსს და რაფს. ადრე გათვალისწინებული 520 ჰექტარის ნაცვლად ეს შუალედური კულტურები 1.500 ჰექტარზე დათესილა. კიდევ ერთელ გაითიბება ნათესი ბალახები, რომელსაც რაიონში 1.500 ჰექტარი ფართობი უკავიათ.

რა თქმა უნდა, ამ რეზერვების თუნდაც სრული გამოყენება, მაინც საკმარისი არ იქნება საკმაო რაოდენობის საკვებით ფერმების უზრუნველსაყოფად. გურჯაანელებს დაეხმარებიან რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის მეურნეობები. საკვების მარაგის არსებით შეავსებს ელიან აქაური მეცხოველეები დამეგობრებული რაიონებიდან.

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ გურჯაანელებს დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვის რაიონის მშრომელებთან. ამჟამად იქ 35 გურჯაანელი შექანიზატორი მონაწილეობს მოსავლის აღებადაბინავებაში. სამაგიეროდ სინელნიკოველები თიკას და ნამჯას მოაწვდიან გვალვით დაზარალებულ მეგობრებს.

წლების მანძილზე საქმიანი ურთიერთობა აქვთ ჩუმლოყელ მშრომელებს კრასნოდარის მხარის უსტანბინსის რაიონის მოწინავე „კოლმეურნეობა „ყუბანთან“. ყუბანელები უხვი მოსავლის ოსტატები არიან. წელსაც ერთი ჰექტარიდან 67 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. ასეთ მძლავრ კოლმეურნეობას არ გაუჭირდება ჩუმლოყელებისათვის დახმარების გაწევა. ყუბანიდან უკვე მიღებულია 200 ტონა ფურაჟი და მისი რაოდენობა ალბათ კიდევ გაიზრდება...

ძნელი წელიწადი დაუდგათ გურჯაანელ მეცხოველეებს, მაგრამ ისინი პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების იმედს არ კარგავენ. საკუთარი ძალისხმევა და მეგობართა დახმარება შეაძლებინებთ მათ ძნელი ზამთრის გადატანას.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

მოვლენათა ქრონიკა

დაინტერესდა იტალიის ფირმა

იტალიის დ.ანდრეას ფირმამ და საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ხელი მოაწერეს ოქმს დამმუშავებელი ცენტრებისათვის განკუთვნილი პროგრამული მართვის პლანსუპორტული შიგსაჩარხი თავების შეშუშავებისა და წარმოებისათვის თანამშრომლობის შესახებ. ქართველ მეცნიერთა აღმოჩენა, რომელზეც საავტორო მოწმობაა მიღებული, არსებითად აფართოებს ამ ცენტრების შესაძლებლობებს, რამაც განაპირობა ფირმის წარმომადგენელთა სერიოზული დაინტერესება.

შემოდგომაზე მილანში გაემგზავრებიან ქართველი სპეციალისტები ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე მოლაპარაკების გასამართავად. ნავარაუდევია, რომ იგი მეცნიერებატევადი და ეკოლოგიურად ხალასი იქნება, არ მოითხოვს დიდძალ ნედლეულს. მოწყობილობას იტალიის მხარე მოგვაწოდებს.

თბილისა ასაფრენ ზოლთან

გულრიფშის რაიონის სამეურნეოანგარიშიანი სარძევე-საკონლო ფერმებისათვის მეტად საჭირო აღმოჩნდა ის 300 ტონა თივა და 350 ტონა სასილაჟე მწვანე მასა, მეცხოველეებთან დადებული ხელშეკრულებით. რომ დაამზადა სოხუმელ ავიატორთა კოოპერაციულმა რგოლმა. ამით, აფხაზეთში ვითარების გამწვავების დღეებში საკვებმომპოვებელთა ცალკეული ბრიგადების მოცდენის გამო მეურნეობებში საკვების დეფიციტი შეიქმნა.

უკვე მეორე წელია საწარმოო პროგრამისათვის მუშაობენ აქაური ავიატორები. სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ხელმძღვანელობასთან დადებული ორმხრივხელსაყრელი სახელშეკრულებო აეროპორტის ტერიტორიის 70 ჰექტარს, ამზადებენ აქ საკვებს.

კოოპერატივები — მიწათმოქმედებას

ქარხანა „საქსოფლმანქანა“ ყოველწლიურად უშვებს სხვადასხვა დანიშულების დაახლოებით 18 დასახელების სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. მაგრამ ახლა სოფლის მეურნეობას სჭირდება კიდევ უფრო მეტი სხვადასხვაგვარი მანქანა და მოწყობილობა, თანაც ზოგიერთი მათგანი საჭიროა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით, რაც ქარხნისთვის არარენტაბელურია.

სოფლის მშრომელთა დაკმაყოფილება დეფიციტური ტექნიკით იკისრეს კოოპერატივებმა, რომლებიც შეიქმნა ქარხნის ბაზაზე და მოქმედებენ აქ სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. მაგალითად, კოოპერატივმა „ფაზისმა“ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს დავალებით დაამზადა ხარემონტო სამუშაოებისათვის განკუთვნილი ასფალტსახეხი მანქანების პირველი პარტია. ასეთ მანქანებს არ უშვებენ ჩვენს ქვეყანაში და ამიტომ გვიწევს მათი შემოტანა საზღვარგარეთიდან. საწარმოს გამოცდების შემდეგ კოოპერატივი გაადიდებს მათ გამოშვებას.

გაეცანით ინფორმაციას საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის XV კონფერენციის გადაწყვეტილებები!

ფერმები რენტაბელური გახდა

ასე აღწევენ წარმატებებს ქედელი მოიჯარეები

ბილნი მთაში უცხოური, ან მთიელთა ყოფას დაკავშირებია, იცის ბარელთან შედარებით მთიელ კაცს როგორ აწუხებს უგზოობა და რთული რელიეფი, სახნავ-სათესისა და საძოვრების სიმცირე, ზვავები და ღვარცოფები. მარტო წყლულს ქედის რაიონის მშრომელებს ზვავებმა ათობით ჰექტარი სავარგული გაუნადგურეს. მოკლედ რომ ვთქვათ, მთიელ გლეხკაცს არსებობისთვის ბევრი აქვს საფიქრალი და საზრუნავი. მაგრამ მაინც არ ტოვებს მამა-პაპეულ ადგილს, თავზე მეტად უყვარს ის სანახები, სადაც შობილა და გაზრდილა.

ახლა, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის პროცესები მიმდინარეობს, მას მთაც უწყობს ფეხს, რაც განსაკუთრებით სასურსათო პროგრამის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობით გამოიხატება. მაღალმთიანი ქედის რაიონის მშრომელებიც ეძიებენ და პოულობენ კიდეც სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის ახალ გზებს. ამაში დავიწმუნდით, როცა აქ მეცხოველეობის დღევანდელი მდგომარეობით დავინტერესდით. არადა, ამ მხრივ აქ სიძნელეები იყო. ველის მაღალპროდუქტიულ პირუტყვს გაუძნელდა აქაური კლიმატის შეგუება და ჯიშობრივ გაუმჯობესებას ადგილობრივი პირუტყვი ცდილობდნენ...

წინა ხუთწლედში ყოველი ფურის საშუალო წველადობა 1.000 კილოგრამს არ აღემატებოდა. მარშან კი 1236 კილოგრამს გადააჭარბა. ფურის წველადობა საშუალოდ 180 კილოგრამით გაიზარდა; განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ფერმების დიდი ნაწილი რენტაბელურიც გახდა, თუ გასულ წლებში რაიონის კოლმეურნეობებს მეცხოველეობა 323 ათასი მანეთის ზარალს აძლევდა, 1988 წელს ეს მაჩვენებელი 60 ათას მანეთამდე შემცირდა.

რა გზით მიაღწიეთ ასეთ გარდატეხას? როგორ გახდა ფერმების ნაწილი რენტაბელური? — ამ და სხვა კითხვებით მივმართეთ პარტიის ქედის რაიკომის პირველ მდივანს მიხეილ მახარაძეს.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა, — თქვა მ. მახარაძემ, ახლებურად განსაზღვრა აგრარული გარდაქმნები და პრობლემები, მჭიდროდ დაუკავშირა ისინი პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმას. ახლა ყოველი რეგიონი იმ გზას ადგება, რომელიც მისთვის უფრო ეფექტიანია. სპეციალისტებთან საქმიანი თათბირის შემდეგ მეცხოველეობაში ავირჩიეთ ჩვენი რაიონისათვის უფრო მოხერხებული გზა. კერძოდ, საზოგადოებრივ სექტორში დავტოვეთ მხოლოდ მეწველი ფურები და სანაშენე ჯოგი. დანარჩენი, მეხორცეული მიმართულების მსხვილფეხა პირუტყვი, მოსახლეობას გადავეცით მისთვის ხელსაყრელი პირობებით. მაგალითად, კოლმეურნეს გადაეცა 50-კილოგრამიანი ხბო, რომლის გაზრდა-გასუქებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემდეგ კოლმეურნეობას რჩება მხოლოდ 50-კილოგრამიანი ხბოს საფასური, დანარჩენი კი კოლმეურნეს მიაქვს. გარდა ამისა ოჯახს, რომელსაც მიბარებული ჰყავს პირუტყვი, ვუყოფთ მიწის სავარგულს და ვეხმარებით. კომბინირებული საკვებით. საზოგადოებრივ სექტორში დარჩენილი ფურები მთლიანად ოჯახური იჯარის პრინციპით გავანაწილეთ. ამ გზას შარშან ზაფხულში დავადექით და შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რაიონის ისტორიაში პირველად ფურის საშუალო წველადობამ 1240 კილოგრამს მიაღწია. ასევე რაიონის ისტორიაში პირველად ყველა კოლმეურნეობამ შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმა. შარშან რძის წარმოების გეგმა 108 პროცენტით შესრულდა, ხორცისა — 111,3 პროცენტით.

მოიჯარეთა კონკრეტული საქმიანობითა და მათი ეკონომიკური მდგომარეობითაც დავინტერესდით. ცხმორისელი მზია ნაკაშიძე ისე უვლის 25 ძროხას, როგორც საკუთარს. მატერიალურმა დაინტერესებამ ერთიანად შეცვალა მისი შრომის ხასიათი. შარშან მისმა ყოველთვიურმა გამოშუშავებამ 400-500 მანეთს მიაღწია.

— სამჯერ მეტი გამომუშავება. მაქვს, ვიდრე ჩვენი ბრიგადის მამაკაცებს, ეს იმის შედეგია, რომ გაპიროვნებულ საქონელს მზრუნველობას არ ვაკლებ, — გვითხრა დოლოგენელმა ფატი ბედინაძემ...

მზიას და ფატის არც სხვები ჩამორჩებიან. რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა წონიანობილი ნინო ქვირიკაძე. იგი 25 ძროხას უვლის. მისი ყოველთვიური გამომუშავება 500 მანეთს აღწევს.

სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის ფერმა მუდამ ჩამორჩენილი იყო, გეგმას ვერ ასრულებდა. ნუგზარ გოგიტიძეს კოოპერატიული ფერმა ჩამოუყალიბებია. ექსპერიმენტმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო. კოოპერატივმა შარშანდელი გეგმა 133 პროცენტით შეასრულა. ერთი ფურის საშუალო წველადობამ 1400 კილოგრამს მიაღწია. ასეა, თუ კაცმა გულით მოჰკიდა საქმეს ხელი, მიზანი მიეღწეველი არ დარჩება.

აი, ასეთი გულმოდგინეობის შედეგია, რომ მეცხოველეობის პროდუქტიულობა არც ზამთარში შემცირებულა. საყურადღებოა ისიც, რომ ქედელმა მეცხოველეებმა გასულ ხუთწლედთან შედარებით ერთი ცენტნერი ხორცის თვითღირებულება ორჯერ შეამცირეს, რძისა — 40 პროცენტით.

წლეულს სტიქიურმა მოვლენებმა დიდი ზიანი მიაყენა ქედელებს. დაზიანდა ჯოგის სადგომები, დაიმეწყარა, ბევრგან კი ზვავმა გაანადგურა ძლიერ დაქანებული ფერდობები, მაგრამ გაჭირვების ჟამს მთა უყურადღებოდ არ დარჩენილა; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად აქარის მაღალმთიანი რაიონებისათვის გამოიყო სახსრები დაზიანებული სამეურნეო ნაგებობების აღსადგენად და ახლის საშენებლად.

როგორც ხედავთ, ქედელთა ექსპერიმენტმა გაამართლა. იგი მისაბაძი უნდა გახდეს. ქედელ მეცხოველეებს გადაწყვეტილი აქვთ მნიშვნელოვნად გააიაფონ მეცხოველეობის პროდუქტები. ამას ხელს შეუწყობს ისიც, რომ განზრახული აქვთ საზოგადოებრივი პირუტყვი უზრუნველყონ ადგილზე დამზადებული უხეში საკვებით. თუმცა აქვე გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ რაიონს დაკლეს 100 ტონა კომბინირებული საკვები. არადა, მთაში, სადაც ნაკლებია სამოვარი და მწვანე მასა, კომბინირებულ საკვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაინც ხშირია ამ მხრივ შეფერხებები. ეს საკითხი უთუოდ უნდა გაითვალისწინონ შესაბამისმა ორგანოებმა.

მიხეილ გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კრწანისის გოსტნის გარაქა

ბარდაბნის რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში მოსავალს იღებენ. აქედან თბილისასა და რუსთავის სავაჭრო ქსელში უწყვეტ ნაკადად მიდის პამიდორი, კიტრი, მწვანილი.

მ. ჰუსეინოვის საიჯარო ბრიგადამ, რომლის განკარგულებაში 10 ჰექტარია, გეგმით 150 ტონა ბოსტნეული უნდა მოიწიოს. ბრიგადის წევრებმა მუყაითად იშრომეს და ვარაუდობენ, რომ მოსავალი 270 ტონას გადააჭარბებს.

სურათზე: მებოსტნე ე. მალაციძე და ბრიგადირი მ. ჰუსეინოვი მწვანილის ხარისხს ამოწმებენ.

საქინფორმის ფოტო.

გადამუშავებელი მრეწველობა

იზრდება წარმოება

თბილისიდან სოხუმისკენ მიმავალი მგზავრი ხობის შესასვლელში მარცხენა მხარეს სხვათაგან ადვილად გამოარჩევს ლამაზ კორპუსებსა და მშენებარე ნაგებობებს. ეს ხობის საქესპორტო პროდუქციის მწარმოებელი ჩაის კომბინატი გახლავთ, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ხობის №2 ჩაის ფაბრიკის ბაზაზე შეიქმნა...

კომბინატმა შარშან, 1983 წელთან შედარებით, სასაქონლო პროდუქციის წარმოება 5-ჯერ და მეტად გაზარდა. ეს კი უწინარესად დისციპლინის განმტკიცების, შრომის სწორი ორგანიზაციის, არსებული საწარმოო ფართისა და ძირითადი საწარმოო საშუალებების მაქსიმალური ათვისების, რეზერვების ამოქმედების და, რაც მთავარია, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის შედეგია. აქ მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესრულდა. ჩვენმა სპეციალისტებმა შექმნეს წვრილი ჩაის ახალი ტიპის დამხარისხებელი მანქანა, დაინერგა ბევრი რაციონალიზატორული წინადადება და სიახლე, ამუშავდა ჩაის ავტომატური დამფასოებელი საამქრო, ამოქმედდა წვრილი ჩაის გრანულირების ახალი კომპლექსური ტექნოლოგიური ხაზი და სხვ. კომბინატში რენტაბელობის დონემ 25,4 პროცენტს მიაღწია.

დაგვიფასდა კიდეც შრომა — შარშან ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის კომბინატის კოლექტივი საკავშირო გარდამავალი დროშით დაჯილდოდა, გადაეცა დიპლომი, ფულადი ჯილდო და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზეც აღინიშნა.

წლეულს გაწეული მუშაობა კი იმედს გვინერგავს, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს უკეთესი მაჩვენებლებით დავამთავრებთ. განვლილ 7 თვეში 14 მილიონ 500 ათასი მანეთის სასაქონლო ნაწარმის ნაცვლად 17 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქცია დავამზადეთ. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპმა 123 პროცენტი შეადგინა. მომხმარებელს მივაწოდეთ 2140 ტონა პროდუქცია. თვითღირებულებაში მიღებულია ასი-ათასობით მანეთის ეკონომია. ერთმა მუშაკმა გამოიმუშავა 70.260 მანეთის პროდუქცია, ნაცვლად 51.724 მანეთისა, რის წყალობითაც შრომის ნაყოფიერების დონე 123,9 პროცენტით შესრულდა.

შარშან ივლისიდან კომბინატი გადავიდა შრომის ანაზღაურების გადიდებულ სატარიფო და თანამდებობრივ განაკვეთზე. ცნობილია, რომ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობის განმაზოგადოებელი მაჩვენებელია სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგი, მოგება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ახალი პირობების მიხედვით საწარმოს განკარგულებაში რჩება. წინათ კომბინატს მოგებიდან რჩებოდა მხოლოდ 9,8 პროცენტი, ახალი სისტემით მუშაობის პირობებში კი რჩება 50,5 პროცენტი, ხოლო ზეგეგმითი მოგებიდან — 70 პროცენტი. გეგმიურ, რიგ წლეულს დაგეგმილია 2 მილიონ 200 ათასი მანეთი, რომელიც მთლიანად მოგებად ჩაბარდა. სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე მოხმარდება. ამენდება 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, 50-ადგილიანი სასაბავშვო ბაგა-ბაღი, სპორტული კომპლექსი, დაიწყება ჩაის სახლის მშენებლობა საფირმო მაღაზიით და სხვ.

მოკლედ სერიოზული ამოცანების წინაშე ვდგავართ. ვეცდებით, რომ წარმატებით გავართვათ მათ თავი.

ბურამ ლატარია,
ხობის საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი ჩაის კომბინატის დირექტორი.

ფერმები რენტაბელური გახდა

ასე აღწევენ წარმატებებს ქედელი მოიჯარეები

ქედის რაიონის მშრომელებიც ეძიებენ და პოულობენ კიდეც სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის ახალ გზებს. ამაში დავიწმუნდით, როცა აქ მეცხოველეობის დღევანდელი მდგომარეობით დავინტერესდით. არადა, ამ მხრივ აქ სიძნელეები იყო. ველის მაღალპროდუქტიულ პირუტყვს გაუძნელდა აქაური კლიმატის შეგუება და ჯიშობრივ გაუმჯობესებას ადგილობრივი პირუტყვი ცდილობდნენ...

წინა ხუთწლედში ყოველი ფურის საშუალო წველადობა 1.000 კილოგრამს არ აღემატებოდა. მარშან კი 1236 კილოგრამს გადააჭარბა. ფურის წველადობა საშუალოდ 180 კილოგრამით გაიზარდა; განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ფერმების დიდი ნაწილი რენტაბელურიც გახდა, თუ გასულ წლებში რაიონის კოლმეურნეობებს მეცხოველეობა 323 ათასი მანეთის ზარალს აძლევდა, 1988 წელს ეს მაჩვენებელი 60 ათას მანეთამდე შემცირდა.

რა გზით მიაღწიეთ ასეთ გარდატეხას? როგორ გახდა ფერმების ნაწილი რენტაბელური? — ამ და სხვა კითხვებით მივმართეთ პარტიის ქედის რაიკომის პირველ მდივანს მიხეილ მახარაძეს.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა, — თქვა მ. მახარაძემ, ახლებურად განსაზღვრა აგრარული გარდაქმნები და პრობლემები, მჭიდროდ დაუკავშირა ისინი პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმას. ახლა ყოველი რეგიონი იმ გზას ადგება, რომელიც მისთვის უფრო ეფექტიანია. სპეციალისტებთან საქმიანი თათბირის შემდეგ მეცხოველეობაში ავირჩიეთ ჩვენი რაიონისათვის უფრო მოხერხებული გზა. კერძოდ, საზოგადოებრივ სექტორში დავტოვეთ მხოლოდ მეწველი ფურები და სანაშენე ჯოგი. დანარჩენი, მეხორცეული მიმართულების მსხვილფეხა პირუტყვი, მოსახლეობას გადავეცით მისთვის ხელსაყრელი პირობებით. მაგალითად, კოლმეურნეს გადაეცა 50-კილოგრამიანი ხბო, რომლის გაზრდა-გასუქებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემდეგ კოლმეურნეობას რჩება მხოლოდ 50-კილოგრამიანი ხბოს საფასური, დანარჩენი კი კოლმეურნეს მიაქვს. გარდა ამისა ოჯახს, რომელსაც მიბარებული ჰყავს პირუტყვი, ვუყოფთ მიწის სავარგულს და ვეხმარებით. კომბინირებული საკვებით. საზოგადოებრივ სექტორში დარჩენილი ფურები მთლიანად ოჯახური იჯარის პრინციპით გავანაწილეთ. ამ გზას შარშან ზაფხულში დავადექით და შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რაიონის ისტორიაში პირველად ფურის საშუალო წველადობამ 1240 კილოგრამს მიაღწია. ასევე რაიონის ისტორიაში პირველად ყველა კოლმეურნეობამ შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმა. შარშან რძის წარმოების გეგმა 108 პროცენტით შესრულდა, ხორცისა — 111,3 პროცენტით.

მოიჯარეთა კონკრეტული საქმიანობითა და მათი ეკონომიკური მდგომარეობითაც დავინტერესდით. ცხმორისელი მზია ნაკაშიძე ისე უვლის 25 ძროხას, როგორც საკუთარს. მატერიალურმა დაინტერესებამ ერთიანად შეცვალა მისი შრომის ხასიათი. შარშან მისმა ყოველთვიურმა გამომუშავებამ 400-500 მანეთს მიაღწია.

— სამჯერ მეტი გამომუშავება. მაქვს, ვიდრე ჩვენი ბრიგადის მამაკაცებს, ეს იმის შედეგია, რომ გაპიროვნებულ საქონელს მზრუნველობას არ ვაკლებ, — გვითხრა დოლოგენელმა ფატი ბედინაძემ...

მზიას და ფატის არც სხვები ჩამორჩებიან. რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა წონიანობილი ნინო ქვირიკაძე. იგი 25 ძროხას უვლის. მისი ყოველთვიური გამომუშავება 500 მანეთს აღწევს.

სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის ფერმა მუდამ ჩამორჩენილი იყო, გეგმას ვერ ასრულებდა. ნუგზარ გოგიტიძეს კოოპერატიული ფერმა ჩამოუყალიბებია. ექსპერიმენტმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო. კოოპერატივმა შარშანდელი გეგმა 133 პროცენტით შეასრულა. ერთი ფურის საშუალო წველადობამ 1400 კილოგრამს მიაღწია. ასეა, თუ კაცმა გულით მოჰკიდა საქმეს ხელი, მიზანი მიეღწეველი არ დარჩება.

აი, ასეთი გულმოდგინეობის შედეგია, რომ მეცხოველეობის პროდუქტიულობა არც ზამთარში შემცირებულა. საყურადღებოა ისიც, რომ ქედელმა მეცხოველეებმა გასულ ხუთწლედთან შედარებით ერთი ცენტნერი ხორცის თვითღირებულება ორჯერ შეამცირეს, რძისა — 40 პროცენტით.

წლეულს სტიქიურმა მოვლენებმა დიდი ზიანი მიაყენა ქედელებს. დაზიანდა ჯოგის სადგომები, დაიმეწყარა, ბევრგან კი ზვავმა გაანადგურა ძლიერ დაქანებული ფერდობები, მაგრამ გაჭირვების ჟამს მთა უყურადღებოდ არ დარჩენილა; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად აქარის მაღალმთიანი რაიონებისათვის გამოიყო სახსრები დაზიანებული სამეურნეო ნაგებობების აღსადგენად და ახლის საშენებლად.

როგორც ხედავთ, ქედელთა ექსპერიმენტმა გაამართლა. იგი მისაბაძი უნდა გახდეს. ქედელ მეცხოველეებს გადაწყვეტილი აქვთ მნიშვნელოვნად გააიაფონ მეცხოველეობის პროდუქტები. ამას ხელს შეუწყობს ისიც, რომ განზრახული აქვთ საზოგადოებრივი პირუტყვი უზრუნველყონ ადგილზე დამზადებული უხეში საკვებით. თუმცა აქვე გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ რაიონს დაკლეს 100 ტონა კომბინირებული საკვები. არადა, მთაში, სადაც ნაკლებია სამოვარი და მწვანე მასა, კომბინირებულ საკვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაინც ხშირია ამ მხრივ შეფერხებები. ეს საკითხი უთუოდ უნდა გაითვალისწინონ შესაბამისმა ორგანოებმა.

მიხეილ გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

განვიხილავთ კანონის პროექტს

მყიდველის უფლებები უნდა გაფართოვდეს

კანონის პროექტი პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ, რომელიც საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნდა, საინტერესო სიახლეა. დოკუმენტს, რომელიც მომხმარებლთა უფლებებს იცავს და პროდუქციის ხარისხს ეხება, დიდი ხანია ელოდება ჩვენი საზოგადოება, ბევრი რამ პროექტში გასაგები და სრულყოფილია, მაგრამ მიმაჩნია, რომ მისი ზოგიერთი დებულება დასაზუსტებელია.

პროექტის 29-ე მუხლით განსაზღვრულია მომხმარებლის უფლება მისთვის ხელშეკრულების პირობების შეუსაბამო პროდუქციის მიყიდვის შემთხვევაში. თუ ასეთი უარი მოხდება მომხმარებელი უფლებამოსილია ხელრთო, ან გარანტირებული ვადების ფარგლებში მოითხოვოს გამყიდველისაგან (მომწოდებელისაგან) შეუცვალონ შესაძენი ჭეროვანი ხარისხის ანალოგიური საქონლით, ან შეუმცირონ შესასყიდი ფასი. მომხმარებელს შეუძლია ისიც მოითხოვოს, რომ გამოუსწორონ ნაკლი საქონლის დეფექტი, ან ზარალის ანაზღაურება და ძალადაკარგულად ჩითვალოს ხელშეკრულება.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ ასეთი პირობები არ ვრცელდება იმ მოქალაქეებზე, რომლებმაც საცალო სავაჭრო ქსელში ტექნიკურად რთული პროდუქცია შეიძინეს. ასეთი პროდუქციის გამოცვლის, ხელშეკრულების შეწყვეტისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა მომხმარებელთა უფლებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია საქონლის დეფექტის გამოსწორება, სადაც იგია შეძენილი, ან საგარანტიო სახელოსნოში დაბრუნდა ვადებში.

მოქალაქე იძულებული ხდება გამყიდველს ნაკეთობის რემონტით, თანაც მაშინ, როცა საგარანტიო მომსახურება ელემენტარულადაც ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ამჟამად მოქმედი ნორმატიული აქტებით არის დადგენილი. ამასთან, პროექტი არ გამორიცხავს პროდუქციის გამოცვლის, ხელშეკრულების შეწყვეტისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა მომხმარებელთა უფლებად, თუ საქონელი ხარისხიანია, ან ნაკლს აღმოფხვრიან, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას საფასურის გადახდაზე, ხოლო თუ ფასი უკვე გადახდილია, მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება.

პროექტის თანახმად 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია ხდება იმ ორგანიზაციაში, რომელშიც ნივთია შეძენილი. თუ მოქალაქემ ნივთი სხვაგან შეიძინა, მას შეუძლია გამოცვალოს იგი იმ დახასიათებულ პუნქტში, სადაც ცხოვრობს.

კარგი მაგრამ, შეიძლება მოქალაქეს და საცალო სავაჭრო ორგანიზაციას შორის შეთანხმება უფრო ხანგრძლივი საგარანტიო ვადების დადგენის შესახებ, ვიდრე ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული? ანდა როგორ უნდა თქვას უარი გადახდაზე, როცა იგი საფასურს ხელშეკრულების დადებისთანავე იხდის? პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელია აგრეთვე მოქალაქის მიერ ნივთის ნაკლის საკუთარი ხახსრებით გამოსწორება და გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა.

თუ აღნიშნული წესები არ ვრცელდება მოქალაქეებზე, მაშინ გაუგებარია მითითება იმის შესახებ, რომ მოქალაქეთა მიერ ამ უფლების რეალიზაცია გამყიდველი ორგანიზაციის მეშვეობით ხდება.

იგივე 29-ე მუხლის მე-8 პუნქტი მიუთითებს, რომ მყიდველის უფლებები არ დაკმაყოფილდება თუ დამტკიცდა, რომ პროდუქციის ნაკლი თვით მყიდველის მიზეზით წარმოიქმნა. ამავე დროს პროექტში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე თუ ვინ უნდა დაადგინოს, რომ ნაკლი არ არის გამოწვეული მყიდველის მიზეზით? ნუთუ საგარანტიო სახელოსნომ? ეს ხომ მყიდველის ინტერესების აშკარა შელახვა იქნება.

პროექტის 33-ე მუხლში ისიც არის ნათქვამი, რომ — მოქალაქისათვის, ან მისი ქონებისათვის იმ პროდუქციით მიყენებული ზიანი, რომელიც შეიცავს კონსტრუქციულ, სარეცეპტურო ან საწარმოო დეფექტებს, უნდა ანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა სრული მოცულობით, თუ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის პასუხისმგებლობის უფრო დიდი ზომა. ამ მუხლის მიხედვით ზიანის მიმყენებლად ითვლება პროდუქციის გამყიდველი და მისი დამამზადებელი. მოგვაჩნია, რომ მასში უნდა გამოიკვეთოს ის, თუ სახელდობრ ვის უნდა წარედგინოს მოთხოვნა — გამყიდველს თუ დამამზადებელს. საუოფაცხოვრებო ტექნიკის ექსპლოატაციის პროცესში ზოგჯერ ხდება ზიანის მიყენების შემთხვევები. მაგალითად, ტელევიზორის თვითანთება ხანდახან ანადგურებს არა მარტო ტელევიზორს, არამედ მოქალაქის სხვა ქონებასაც აფუჭებს, ან თვით პიროვნებასაც აზიანებს. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის განსაზღვრისას სასამართლო პრაქტიკაში არ არის ერთიანობა. ზოგიერთი სასამართლო აკმაყოფილებს დამამზადებლისადმი, ზოგიერთი კი გამყიდველისადმი წარდგენილ სარჩელს. სასამართლო პრაქტიკის ასეთი არაერთგვაროვნება სიძნელეებს უქმნის მოქალაქეებს. ალბათ, პროექტში მიზანშეწონილი იქნება მიეთითოს იმაზე, რომ მოთხოვნა უნდა წაეყენოს გამყიდველს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პროექტი არ ითვალისწინებს სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლებას 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევისას, ე. ი. მყიდველს (მოქალაქეს) უფლება არა აქვს მიმართოს სასამართლოს, როცა მას უხარისხო პროდუქცია მიეყიდა და მისი კანონიერი მოთხოვნები ნებაყოფლობით არ შესრულებულა. კანონში აუცილებლად უნდა შეიტანონ მყიდველს უფლება მიმართოს სასამართლოს, თუ მისი კანონიერი მოთხოვნები ნებაყოფლობით არ კმაყოფილდება.

ზურაბ ახვლედიანი,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზია ეკონომიკაში ჯერ კიდევ არსებული სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტები და სხვა ნეგატიური მოვლენები, კერძოდ, დატაცებანი, წამატებანი და უმრომელი შემოსავალი.

უკანონო შემოსავლის მიღების ყველაზე გავრცელებული ფორმა დაკავშირებულია სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საწარმოების სამეურნეო საქმიანობისას დახარჯული შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის დარღვევა-დამახინჯებასთან.

ამჟამად ჯერ კიდევ შეუძლებელია განისაზღვროს ან, თუნდაც, ჩამოითვალოს ნეგატიური მოვლენების ძირითადი მიზეზები ეკონომიკაში, რადგან ეს ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ანალიზს მოითხოვს. ამას ართულებს ისიც, რომ წამატებების არსებობას ტრადიციულად მხოლოდ სუსტი აღრიცხვა-ანგარიშებითა და კონტროლით ეხსნით, ხოლო ის, რომ ამისი ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს მმართველობის ცუდი ორგანიზაცია, დაგეგმვის ნაკლოვანებები, სამეურნეო მექანიზმის არასრულყოფილება და სხვა, გვავიწყდება.

ის, რომ საბუღალტრო ექსპერტიზა დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ეკონომიკური ექსპერტიზის ერთ-ერთ სახეობას, რომელსაც სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში იყენებდნენ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროა. ამიტომ, შესაბამისად, სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის კომპეტენცია საწარმო-დაწესებულების სამეურნეო საქმიანობის გამოკვლევა, საგანი კი ყველა იმ სამეურნეო ოპერაციის ერთიანობაა, რომელიც აღრიცხვის (სააღრიცხვო) დოკუმენტაციაში ისახა.

სამეურნეო საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, ჩვეულებრივ, იგი შემოიფარგლება დოკუმენტური რევიზიისა და საბუღალტრო ექსპერტიზის, ხშირად კი მხოლოდ დოკუმენტური რევიზიის ჩატარებით. არადა, სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად სახელმწიფო თანხების დატაცება, დანაკლისი, ზარალი შეიძლება იყოს არა მარტო საწარმოს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშებებთან დაკავშირებული დამახინჯების, არამედ დაგეგმვის და ნორმირების ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შედეგი. ხშირად სახელმწიფო თანხის დამტაცებლები, რომლებსაც აქვთ სახლობო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში მუშაობის საკმაო გამოცდილება და სპეციალური ცოდნა, იყენებენ დატაცების ისეთ ფორმებს, რომლებიც ვერ გამოაშკარავდება საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშებით. ასეთია, მაგალითად, საწარმოში ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის, ფალსიფიცირებული ან უხარისხო პროდუქციის გამოშვებით მიღებული ხელოვნური ეკონომიის გზით წინასწარ მოფიქრებული აღურიცხვი მატერიალური ფასეულობის შექმნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამა თუ იმ საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციის, დარგის სამეურნეო საქმიანობა ვერ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშები, რადგან მისი შემადგენელი ნაწილია ეკონომიკის ისეთი დარგები, როგორიცაა დაგეგმვა, ორგანიზაცია, მართვა, ფინანსები, სტატისტიკა, შრომის ეკონომიკა და სხვა. ამიტომ ექსპერტ-ბუღალტერს, ისევე როგორც სხვა სპეციალისტს, შეუძლია გასცეს პასუხი დასმული კითხვებს მხოლოდ იმ ნაწილს, რომლითაც შემოიფარგლება მისი ცოდნა და გამოცდილება.

აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზას დიდი ხნის ტრადიციები აქვს, საგაგმო-ეკონომიკური ექსპერტიზა ახალი დარგია და სათანადო ყურადღებას მოითხოვს. რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები გვაიმედებს, რომ ექსპერტიზის სხვა სახეობებთან ერთად იგი სათანადო ადგილს დაიჭერს სამეურნეო ზასიათის სისხლის სამართლის საქმეების სრულყოფილად და ხარისხიანად გადაწყვეტაში. კერძოდ, უკვე შემუშავებულია და გეგმის მიხედვით სრულდება მთელი რიგი ორგანიზაციულ-მეთოდიკური საკითხები: ექსპერტ-ეკონომისტის ცოდნის გასაღრმავებლად განყოფილებაში ფუნქციონირებს მეთოდიკური და ლაბორატორიის საბუღალტრო გამოკვლევის განყოფილებაში ექსპერტიზის ჩასატარებლად შემოსული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლამ გვიჩვენა, გამოძიება და სასამართლო ზშირად აწყდებიან წინააღმდეგობას ისეთი საკითხის გადაწყვეტის დროს, რომელიც დაკავშირებულია ნედლეულის, მასალების, საწვავის გაუთვალისწინებელ ზედმეტობის შექმნასთან, შესრულებული სამუშაოების წამატებებთან, ანგარიშგების დამახინჯებებთან, უსაფუძვლო პრემიების გაცემასთან, უსტანდარტო, უკომპლექტო და უხარისხო პროდუქციის გამოშვებასთან, მიღებული მოგების უსაფუძვლო ზრდასთან და ამა თუ იმ წარმოების ეკონომიკური სტიმულირებისათვის მის გამოყენებასთან.

უეჭველია, რომ ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს არა მარტო ბუღალტრის, არამედ ფინანსისტის, მგეგმავის და სხვა ეკონომიკური სპეციალობების ცოდნას, როცა აღნიშნული კატეგორიის საქმეებს ექსპერტ-ბუღალტერი წყვეტს, ცხადია, ზმირად ექსპერტიზის ჩატარებისას არ ხერხდება ამა თუ იმ ნეგატიური მოვლენის წამატების, დანაკლისის და სხვათა სრულყოფილი შესწავლა და მისი საფუძვლიანი დადგენა. ამჟამად კი ჩვენს წინაშე მთელი სერიოზულობით ისმება საკითხი, რომ საჭიროა დადგინდეს, თანაც ზერელედ კი არა, კონკრეტულად, ამა თუ იმ ნეგატიური მოვლენის, მატერიალური ზარალის არა მარტო სიდიდე, არამედ წარმომობის საფუძველი და წყაროც.

ამრიგად, სასამართლო ექსპერტოლოგიის მეცნიერების განვითარება თანამედროვე ეტაპზე მოითხოვს შეიქმნას ახალი გამოყენებითი დისციპლინა — სასამართლო ეკონომიკა, რომლის ამოცანაა ყოველგვარი ეკონომიკური ექსპერტიზის წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შექმნა და მათზე დაყრდნობით პრაქტიკული რეკომენდაციებისა და ღონისძიებების შემუშავება, რათა სამეურნეო ხასიათის სისხლის სამართლის საქმეებზე დროულად, ხარისხიანად და ყოველმხრივ დასაბუთებულად გაიცეს დას

შალომ!

ვაშინგტონი თელ-ავივის ბენ-გურიონის სახელობის ლუდის საერთაშორისო აეროპორტში, — გამოაცხადა სტიუარდესამ და აერობუსის მგზავრები ოლუმინატორებს მიაციცდნენ.

ღამე იწვა ხმელთაშუა ზღვაზე. მთელი ორი საათის მანძილზე, რაც ათენიდან გამოფრინდნენ, მხოლოდ რამდენჯერმე დალანდეს ქვეკით, წყვდიადში ციცინათელასავით გამკრთალი კუნძულები. ახლა კი ჯერ კანტიკუნტად აკიაფდა სინათლე, მერე ხელისგულზე ცეცხლოვან რუკად გადაიშალა დიდი ქალაქი... აი ისიც — პალესტინა: ალთქმული ქვეყანა, ბიბლიური პატრიარქებისა და ლეგენდების მხარე, სამი მსოფლიო რელიგიის მესაძირკველი.

ტრაპთანვე დახვდნენ მასპინძლები.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამოვრძანება ისრაელში, — ღიმილით მიესალმნენ სტუმრებს წარმოსადგი ახალგაზრდა კაცი — ისრაელის ქნესეთის წევრი ბატონი ეფრაიმ გური და მისი მეუღლე ქალბატონი რიტა.

— შალომ!

ნაცნობი სახეებია ირგვლივ. ახლობელი, ჩვენებური და მხოლოდ ქართული ხმიანობს. გარს ეხვევიან სტუმრებს, სულის მოთქმას არ აცლიან, ეკითხებიან, ეკითხებიან... თითქოს ცხრა მთას იქით კი არა, თბილისის საჰაერო კარიბჭესთან ხდება ეს მღელვარე შეხვედრა.

გარეთ კი, აეროპორტის შესასვლელთან, რამდენიმე ათეული კაცი ელის მათ. ისრაელის ტელევიზიის, რადიოს, პრესის მუშაკებმა ალყაში მოაქციეს სტუმრები (მეორე დღესვე ფართოდ გაშუქდა მათი ჩამოსვლა და სტუმრობის მიზანი)...

მოკლე ცნობა

ქართველ ებრაელთა მომავლისათვის ზრუნვის საზოგადოება „დერეხის“ („გზის“) თავმჯდომარის, ისრაელის ქნესეთის წევრის ეფრაიმ გურის (გურიელაშვილის) მიწვევით ისრაელში ერთი თვე იმყოფებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ანდრია აფაქიძის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა არქეოლოგიური კვლევა-ძიების საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელის, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კვლევის ასოციაციის თავმჯდომარის გივი ღამბაშიძის, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკის შალვა წინწაძვილისა და თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანის, მხატვარ გიორგი ხუციშვილის შემადგენლობით.

ცოტა რამ გარკვევისათვის

შაბინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყვენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ერანი მოვიდეს ქართლს და ქოითხოვეს მცნეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკით. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა ნყაროსა, რომელსა ჰქუიან ზანავი“ — მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“.

ოცდაექვსსაუკუნოვანი შარავანდედი ადგას ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრებას. ამ უნიკალური მოვლენის ისტორიული ასპექტით შესასწავლად უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები.

მარშან, დეკემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს საისტორიო საზოგადოებასთან შეიქმნა სამეცნიერო-კულტურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კვლევის ასოციაცია, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი და ებრაელი ხალხების საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის წარმოჩენას და შემდგომ განვითარება-განმტკიცებას, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ამ ხალხების მიღწევათა ურთიერთგაცნობას, შესწავლასა და პოპულარიზაციას; იგი იზრუნებს ამ ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საქართველოში ებრაული კულტურისა და ისტორიის ძეგლთა, და მეორე მხრივ, ისრაელში საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა გამოვლენას, აღრიცხვას, მეცნიერულ შესწავლას და აღდგენა-დაცვას.

ასოციაციის დედააზრი, სემანტიკური ძირები გამოხატულია მის სიმბოლიკაში: ქართული დარბაზის გვირგვინში ჩახატულია ებრაელთა წმიდა სიმბოლო „მენორა“ (შვიდსანთლიანი შანდალი), რითაც გაცხადებულია ორი ერის ისტორიული ერთობა. ასოციაციის დევიზია „სიყვარული გზად და ნიდად“.

სწორედ ამ საზოგადოების საშუალებით გახდა შესაძლებელი მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთობლივი დელეგაციის მიწვევა ისრაელში, რაც სტუმართმოყვარეობის უმაღლესი კანონებით აღასრულეს ბატონმა ეფრაიმ გურმა და ისრაელის ქართველ ებრაელთა თემმა.

ჯვარი ვაზისა

იღამეს შუქი არ ჩამქრალა სასტუმრო „შაარი იერუშალაიმის“ („იერუსალიმის კარიბჭის“) მეშვიდე სართულის ორ ნომერში. რა ხანია გამოეთხოვნენ მასპინძლები, მოისვენეთო, მაგრამ ძილზე არავის უფიქრია.

ცაზე ფარივით ჰკიდია ბრდღვიალა მთვარე, ვერცხლისფრად ასეგადებს დავითის ქალაქს და იდუმალი ხვეებით ავსებს შორს, მდინარე იორდანეს გაღმა ჩამუქებულ უკიდეგანო სივრცეს. ეს თითქოს 26 საუკუნის მიღმიდან ჯერავ ხმიანობს ევფრატის ნაპირზე მუხლმოყრილ ბაბილონის ტყვე ისრაელის ძეთა ლოცვა:

„უკეთუ დაგივიწყო შენ,
იერუსალემ,
დამივიწყეს მეცა მარჯვენამან
ჩემმან!
ალუქუენ ენა ჩემი სასასა ჩემსა,
თუ არ მოგიხსენო შენ“.

აი, სილურჯე შეეპარა გოდების კედელსა და გოლგოთას.

თანდათან გამოიკვეთა ჯვრის მონასტრის კონტურები. წუხელვე, სასტუმროში ჩამოხდომამდე, მიეახლენენ მას თელ-ავივიდან მომავალნი. ეამბორნენ რკინის ბჭეს, რომლის წიაღ ეგულებოდათ საფლავი რუსთველისა და დიდი ქართული კულტურის ხელთუქმნელი ძეგლი.

გათენდა. და რიერაფს თითქოს ქალაქში გაშლილი დროშებით შემოჰყვნენ ქრისტეს საფლავის მომლოცველი ქართველი რაინდები.

იერუსალიმი... ნინოს თმით შეკრულმა ჯვარმა ვაზისამ იბერიას IV საუკუნეშივე მიაპყრობინა მზერა წმიდა ქალაქისაკენ. ქართული საისტორიო მწერლობა და ტრადიცია პალესტინის ქართულ სიძველეებს ყოველთვის უკავშირებდა მირიან მეფის, ვახტანგ გორგასალის, გიორგი-ჰორხორე შავშელის, ევფთიმე და გიორგი მთაწმინდელების, დავით ალმაშენებლის, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ნათლითმოსილ სახელებსა და მოღვაწეობას.

„წმიდა მიწასთან“ სისხლხორცეულად არის დაკავშირებული დიდი და ბირძელი ქართული კულტურის ისტორია, რომელმაც საუკუნოდ შემოინახა მნიგნობარ-კალიგრაფებისა თუ მეცნიერი მამულიშვილების სახელები: მიქაელ და იოანე დვალები, შავი იოანე, მიქაელ გეორგენისძე, არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე, ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი), ტიმოთე გაბაშვილი, ლევან II დადიანი, გიორგი XI, გიორგი ავალიშვილი, ნიკო ჩუბინაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი წერეთელი, რობერტ ბლეიკი, პორფირი (კონსტანტინე) უსპენსკი, გრიგოლ ფერაძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ილია აბულაძე, აკაკი შანიძე, ირაკლი აბაშიძე და სხვ. ამ სამეცნიერო მიმართულებით ფრიად დამაშვრალ ჩვენი დღეების სახელოვან სწავლულებს თბილისში სათავეში უდგანან აკადემიკოსები ალექსანდრე ბარამიძე და ელენე მეტრეველი, ხოლო იერუსალიმში — გამოჩენილი მკვლევარები იცხაკ დავიდი (დავითაშვილი) და გერშონ ბენ-ორენი (წინწაშვილი).

პალესტინაში არსებულ ჩვენს ოცზე მეტ მონასტერს, ტაძარს, ეკლესიასა თუ სამლოცველოს მენინაველობს ჯვრის მონასტერი — უდიდესი ქართული რელიგიური და კულტურულ-სამეცნიერო ცენტრი „წმიდა მიწაზე“.

იმავე სამყაროშია ძველი ქართული მნიგნობრობის დიდი კერა — სინას მთის მონასტერი, სადაც ქართულ საეკლესიო მოღვაწეთა, მწიგნობართა — პოეტთა, წიგნის მმოსველთა და მწერალთა ნაკვალევი კარგად ჩანს VI საუკუნიდან მაინც. გავიხსენოთ პეტრე იბერი, იოანე მინჩხი, იოანე ზოსიმე, იოანე კუმურდოელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა ქობულიანისძე და მთელი სიგრძე-სიგანეთ წარმოგვიდგება პალესტინის უკიდეგანო მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართული ცივილიზაციის კვლევისათვის.

რა ხანია უკანასკნელმა ქართველმა ბერმა დატოვა იერუსალიმი, მაგრამ დღეს იქ ,კვლავ ხმიანობს ენა, რომელსა შინაც ყოველი სიიდუმლო დამარხულ არს. იგი დღეს ბუდეს დაბრუნებული ქართველი ებრაელობის დედაენაა!

წინაპართა ნაკვალევზე

რა პირობებია დღეს ჩვენში ქართული პალესტინანიანის კვლევის პროგრამის შესაქმნელად, მისი ხორცშესხმისათვის აუცილებელი სამეცნიერო-საორგანიზაციო ნაბიჯების გადასადგმელად? — პირველად ეს ვკითხეთ იერუსალიმის სამეცნიერო მივლინებიდან დაბრუნებულ ბატონ ანდრია აფაქიძეს.

—ქართულ პალესტინიანას ახალი დრო დაუდგა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან: თითქმის 2600 წლის შემდეგ ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილი დაუბრუნდა თავის ისტორიულ სამშობლოს. ეს ებრაელთა ეროვნული განვითარება, სრულყოფისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობის ახალი საფეხურია. 50 ათასი ქართველი ებრაელი ისრაელში ასკლის მიზეზებისა და შედეგების კვლევა, ისევე, როგორც აქ დარჩენილთა ისტორიის, კულტურისა და ყოფის კვლევა, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული პალესტინიანის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს. გაჩნდა მეცნიერებისათვის უაღრესად საყურადღებო ახალი წახნაგები — შევისწავლოთ სიახლენი, რაც მოსალოდნელია ქართველ ებრაელთა ორი დიდი თემის — საქართველოს და ისრაელის თემების წარმოქმნის შედეგად. საქართველოში დარჩენილ ქართველ ებრაელთ ისტორიული სამშობლოს ნოსტალგია შეაწუხებს, ხოლო ისრაელში საქართველოდან წასულთ — საქართველოს ნოსტალგია, ისტორიულ, მაგრამ მათთვის ახალი სამშობლოს, პრინციპიულად სხვა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წყობის ვითარების ადაპტაცია მოუწევთ. ასპარეზი ჩნდება ეთნოსოციალური თუ ეთნოფსიქოლოგიური კვლევისათვის. ქართულმა ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ უნდა განავრცოს საერთოდ ქართული სემიტოლოგია. კვლევის ეს მიმართულება, რომ იტყვიან, სასიცოცხლოდ არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიის, ქართული ცივილიზაციის კვლევის დაწინაურებასთან.

— ქართული საისტორიო მწერლობა, როგორც მოსალოდნელ მოვლენას, ისე აღწერს ლტოლვილ ებრაელთა ქართლში მისვლასა და დამკვიდრებას, თითქოს ჩვეულებრივი ამბავიაო მოთხრობილი. რითი ხსნით ასეთ დამოკიდებულებას?

— ყოველ შემთხვევაში, არა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის დაბალი დონით. ამის საფუძველი არ არსებობს. ალბათ, უფრო გულდასმით უნდა ჩავუღრმავდეთ ამ მოვლენის სათავეებს. აქ, შესაძლოა, ქართველთა წინარე სამშობლოს საკითხებიც დადგეს. სულ უფრო დამაფიქრებელია ხირბეთ-კერაკის კულტურის, იერიქონის უძველესი ფენებიდან მომდინარე ძეგლების, შეიძლება ითქვას, გასაოცარი სიახლოვე თრიალეთის, ბედენის, მარტყოფის და სხვა კულტურებთან. ერთი სიტყვით, კავკასია-პალესტინის სინქრონულ და უაღრესად ახლო ცივილიზაციების შესახებ საუბრისათვის მყარი საფუძვლები არსებობს. იქნებ ებრაელ ლტოლვილთა ასე შორს და უყოყმანოდ წარმოსვლის ფესვები სწორედ პალესტინისა და კავკასიის, პალესტინისა და საქართველოს: თრიალეთ-ბედენ-მარტყოფისა და ხირბეთ-კერაკისა და იერიქონის უძველეს ცივილიზაციებში ჩანდეს. როგორ, რანაირად? ამას კვლევა სჭირდება!

— თქვენ მრავალმხრივად წარმოაჩინეთ პალესტინისადმი — ქართული პალესტინიანისადმი ინტერესი აწინდელ საფეხურზე. როგორც ჩანს, ვითარება „მომწიფებულია“. და მაინც რამ მისცა ბიძგი თქვენს ამ სამეცნიერო ვიზიტს ისრაელში?

— შარშან ბატონ ეფრაიმ გურთან ორგზის შეხვედრამ საერთაშორისო ნოსტალგიურ ებრაულ ლიტერატურულ ალმანახ „ალეფ“-ში ... ებრაულ ... ებრაელ ... ებრაულ ... ებრაულ ... ებრაულ

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

შეფი — სკოლას

ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლის უფროსკლასელი ვაჟები სასწავლო წლის განმავლობაში მუდამ ხალისით მიეშურებიან შრომის სახელოსნოში. ეს ნათელი, თანამედროვე აეჯითი და ხელსაწყოებით აღჭურვილი სასწავლო-სახელოსნო მოსწავლეებს შეფებმა აუშენეს, რომლებმაც ქ. ტყიბულის სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებს მარტო ეს ერთი საჩუქარი რიდი უძღვნეს.

ეს შეფი გახლავთ საწარმოო გაერთიანება „საქნახშირი“.

უკანასკნელ წლებში ამ საწარმოო გაერთიანებამ ტყიბულის № 1 საშუალო სკოლას მიუშენა 4 საკლასო ოთახი 100 მოსწავლისათვის, რამაც სკოლას საშუალება მისცა ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასულიყო; მე-2 საშუალო სკოლა ჩიუტარა დაშენება-რეკონსტრუქცია და ამით სკოლას 120 მოსწავლის ადგილი დაემატა; მე-4 საშუალო სკოლას აუშენა მწარმოებელური შრომის სახელოსნო, რომელიც სხვა სკოლების უფროსკლასელი ვაჟებისთვისაც არის გახკუთვნილი; მე-3 საშუალო სკოლაში სამკერვალო გაერთიანება „ველათთან“ ერთად შექმნა სასწავლო ფაბრიკა, აქ შრომითს ოპერაციას ასრულებენ მე-5, მე-6 და მე-7 საშუალო სკოლების მოსწავლე გოგონები, — ისინი ფართო მოზმარების საქონელს უშვებენ; მე-6 და მე-7 საშუალო სკოლებს მოუწყო სასწავლო სახელოსნოები და სხვა.

ტყიბულში საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ სახსრებით აშენდა და 1987 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა № 19 პროფტექნიკური სასწავლებლის სრული კომპლექსი: სასწავლო-საწარმო, საცხოვრებელი, ადმინისტრაციული კორპუსებითა და სპორტკომპლექსით, რომლის საერთო ღირებულება 1182 ათას მანეთს შეადგენს. ამ სასწავლებლისთვის შეეძინა 84,5 ათასი მანეთის ინვენტარ-მოწყობილობა, 173,3 ათასი მანეთის ჩარხდანადგარები. ამჟამად აქ სამთო ლაბორატორიასაც აწყობენ.

„საქნახშირმა“ 1984-1987 წლებში ქ. ტყიბულის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამმტკიცებისათვის 500 ათასი მანეთი გამოყო, გარდა ამისა, სკოლებს გადასცა 200 კუბური მეტრი ხის მასალა, 50 ტონა ცემენტი, 6 ტონა საღებავი, 10 ტონა სხვადასხვა ზომის ლითონის მილები, საკმაო რაოდენობით სახურავის თუნუქი შიფერი, სხვადასხვა სამშენებლო მასალა და მოწყობილობა.

გაერთიანების საწარმოები სერიოზულ მუშაობას ეწევიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლების ნორმალურად წარმართვისათვის. მათი სპეციალისტები უძღვებიან მოსწავლეების შრომითს აღზრდას, როგორც გაერთიანების საწარმოების, ისე სკოლების ბაზებზე.

კარგი საპროფორიენტაციო მუშაობისა და შრომითი აღზრდის წყალობით 1987 წელს ქ. ტყიბულის საშუალო სკოლების 411 კურსდამთავრებულიდან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობს 206, კოლმეურნეობებში — 81,97 კი სწავლას განაგრძობს პროფტექნიკურ სასწავლებელში.

თუ საქმეს გულით მოეკიდები

ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და მასთან არსებული სახალხო განათლების საუწყებათშორისო კომისიის წევრები, დეპუტატები, აქტივისტები, „საქნახშირისა“ და მისი საწარმოების ხელმძღვანელები ხშირად მიდიან სასწავლო დაწესებულებებში, ეცნობიან ვითარებას, სახავენ და ატარებენ ღონისძიებებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამ ღონისძიებების წარმატებით განხორციელების შედეგია ის, რომ 1982-1987 წლებში სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ქ. ტყიბული ხუთჯერ დაჯილდოდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით.

ეს გამარჯვება დიახაც რომ სასიხარულო და დამაიმედებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტყიბულის ზონის ყველა სკოლაში მოგვარდა პრობლემები. ქალაქის მე-3 საშუალო სკოლაში კვლავ ორცვლიანი მეცადინეობაა. სკოლას არა აქვს სათანადოდ აღჭურვილი შრომითი სწავლების კაბინეტი და სახელოსნო, (თუმცა არსებობს მისი აგებისა და სკოლისათვის 6 საკლასო ოთახის მიშენების ტექნიკური დოკუმენტაცია. რატომღაც ნელი ტემპით მიმდინარეობს მისი რეალიზაცია). მე-4 საშუალო სკოლის მწარმოებლური შრომის სახელოსნოსათვის ჯერ-ჯერობით ვერ დადგინდა მოსწავლეთა მიერ გამოსაშვები პროდუქციის ნომენკლატურა. ქ. ტყიბულის № 19 პროფტექნიკურ სასწავლებელში წლების განმავლობაში არ სრულდება მიწისქვეშა პროფესიებში მოსწავლეთა მიღება-გამოშვების გეგმები, დაბალია კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მუშათა პროფესიული დონე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო განათლების რესპუბლიკურმა საუწყებათაშორისო კომისიამ მოიწონა საწარმოო გაერთიანება „საქნახშირისა“ და ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობა და დაეკალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ სოფლის სკოლებს, გაეუმჯობესონ სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის პრაქტიკა.

შეფებს ამჟამად თავიანთი უპირველესი საქმის გარდა არაა ალბ მნიშვნელოვანი — სკოლების მშენებლობა და მათი მიმდინარე რემონტი აქვთ მოსაგვარებელი.

ბურამ ასპინძელაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი.

გახსენება

დიდი მსახიობი იყო...

გიორგის არავინ ეძახოდა, ჟორას ვეძახდით.

მას არ უსწავლია, მაგრამ ბუნებამ მისცა შესანიშნავი გარეგნობა, ინტუიცია, მომხიბლაობა. ბავშვში შენიშნა მარჯანიშვილმა სცენური მადლი და არ მოტყუვდა — მის ხელში გაიფურჩქნა ჟორას ნიჭიერება. ჟორასთვის ეს იყო დიდი სკოლა, მან მარჯანიშვილის სიცოცხლეშივე დაიმსახურა მაყურებლის აღიარება, და მერე ვის გვერდით? — ვერიკო, თამარ, უშანგი, შალვა, — ეს სახელები ხომ ქუთაისის თეატრის დიდება იყო. მალე თავად ჟორა იქცა მარჯანიშვილელთა დიდებად.

ხარიტონი, ჭყონდიდელი, ოქტავიოს კეისარი — მსახიობის ოსტატობის მწვერვალებია, რომელთაგან არც იცი რომელი რომელზე უკეთესია. ზოგიერთნი ჟორას კეისრის გახსენებისას მისი თმის სკულპტურულად დალაგებულ კულულებზე ლაპარაკობენ. ისინი წრფელნი არ არიან, სცენური ღირსება სურთ გარეგნულ ეფექტში ამოიკითხონ. ერთ-ერთ უთნელეს სცენაში, საბერძნეთიდან რომში დაბრუნებულ დასთან დიალოგში, ჟორამ შესძლო კეისრის სულის იმ ფასალართულ ლაბირინთებში ნვდომა, რომელიც თითქმის მიუწვდომელია. ეს სცენა ყოველთვის იმსახურებდა მაყურებლის ხანგრძლივ ტაშს, ეს იყო ოვაცია. ამ ეპიზოდში ჟორა კახური ქუდითაც რომ გამოსულიყო, კეისრის ჭკვიანად გააზრებული სულის ზიგზაგი უსათუოდ იმავე ოვაციას გამოიწვევდა. ეს იყო ზეიმი მსახიობის ხელოვნებისა. საბჭოთა თეატრების ოთხი დადგმა ვნახე ამ პიესისა და ჟორას კეისარს ვერავინ მიუახლოვდა.

ანტონიოსამდე დავდგი ლევან გოთუას „დავით აღმაშენებელი“. ეს იყო 1940 წელი. ჭყონდიდელის როლი ჟორას რომ ვანდე, ბევრი აღშფოთდა, ამ „ჯინტომ“ დავით აღმაშენებლის ბრძენი აღმზრდელი როგორ უნდა ითამაშოსო.

ითამაშა და მერე როგორ!!!

დიდი მსახიობი იყო გორგი შავგულიძე და დიდად მიხარის, რომ მასთან თანამშრომლობა მარგუნა ბედმა.

ვახტანგ ტაბლიაშვილი.

სურათზე: გ. შავგულიძე კეისრის როლში.

„ნატვრისთვალი“ მეგობრებს იკრებს

ამას წინათ რუმინეთის ქალაქ ბრაშოვში ახალგაზრდობის დღესასწაულის სტუმრები საქართველოდანაც ეწვივნენ. მასპინძლები მოიხიბლა მათ მიერ სალამურსა და ფანდურზე შესრულებულმა ჯ. ენესკუს სოროკესტრო პიესამ „ტოროლამ“, ქართული სიმღერები კი ნამდვილი აღმოჩენა იყო იქაური მსმენელისათვის.

ანსამბლში მოსწავლეთა სამი თაობაა გაერთიანებული. ათი წლის მანძილზე მათ მრავალ ქვეყანაში შეასრულეს „იმერული მრავალკამიერი“, „კახური მგზავრული“ საგალობლები. ყოფილან მორეულ აღმოსავლეთში, პოლონეთში, ვიეტნამში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, და დამშვენეს იმდროეთში გამართული საქართველოს დღეებიც.

ანსამბლის წევრები კარგად ფლობენ ქართულ ხალხურ საკრავებს. ეს საშუალებას აძლევს ხელმძღვანელს, კომპოზიტორ ჯემალ ადამაშვილს მრავალფეროვანი პროგრამა შეარჩიოს, რომელიც თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც შეიცავს, ძირითადად კი ბავშვები მაინც ხალხური სიმღერების შემსრულებლები არიან.

მხატვრული თვითშემოქმედების საკავშირო ფესტივალების ხუთგზის ლაურეატი ანსამბლი ყველა ქვეყნის სასურველი სტუმარია. ამჯერად ისინი რუმინეთის ქალაქებში მიიწვიეს, კონცერტები გამართეს ბუქარესტში, სინაიაში, პლოეშტსა და ბრაშოვში.

ბრაშოვის ახალგაზრდობის დღეები ყველაზე მეტად დამახსოვრდათ ანსამბლის წევრებს. რუმინეთის ეროვნული ფოლკლორული ანსამბლების საორგანიზაციო კომიტეტის კომისიამ ანსამბლი და სოლისტები დიპლომებით დააჯილდოვა. ჯილდოებით ჩამოვიდნენ სოლისტები ნათია გიგაშვილი, თემურ თათარაშვილი, კონცერტმაისტერი ნინო ადამაშვილი.

ლელა ტაბიძე.

დარიშხანის საფასურად

სიტყვა „დარიშხანი“, ჩვეულებრივ მხოლოდ შხამის ასოციაციას იწვევს. მაგრამ, თურმე, მასაც შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა. ამ დღეებში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სანარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვისა“ და შუამავალი ფირმის „ზალდასტანი კონსულტინგ ინკის“ (ამერიკის შეერთებული შტატები) თანამშრომლობის შესახებ, რომელშიც ამ უაღრესად ძვირფას ნივთიერებას საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება.

ხელშეკრულების პირობებით საქართველოს გაერთიანება ვალდებულებას კისრულობს შემკვეთს მიაწოდოს ხალასი ლითონური დარიშხანი. უკვე წელს გაიგზავნა 3 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ეს ნივთიერება. გაისად ეს რაოდენობა ორნახევარჯერ გაიზრდება.

ამერიკის მხრიდან გაერთიანება მიიღებს „ფილიპსის“ ფირმის სამი ათას კომპიუტერს. ამ კომპიუტერებით აღიჭურვება არა მარტო „საქსამთოქიმმრწვნის“ შესაბამისი სამსახურები, არამედ რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა კვლევითი ინსტიტუტებიც, კერძოდ, ისინი, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. ქართველი პარტნიორები მიიღებენ აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონელს — ტანსაცმელს, ფეხსაცმელს თუ ტელე და ვიდეოაპარატურას, — სულ ორი მილიონი მანეთისას, რომლებსაც შეიძენენ გაერთიანების თანამშრომლები.

ამერიკის ფირმის „ზალდასტანი კონსულტინგ ინკის“ წარმომადგენელი ირინე ასათიანი-დავრიშაშვილი ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრია, ახლა კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. სამშობლოში ჩამოსვლისას, მან მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მისი ფირმისა და საქართველოს საწარმოს პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას. საქონლის გაცვლა წელსვე დაიწყება. (საქინფორმი).

სატურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებით დაიწყეს ნიუ-იორკში აშშ-ს ღია ჩემპიონატი. მათ შორის არის თბილისელი ლეილა მესხიც, რომელმაც პირველ წრეში დაამარცხა საფრანგეთის წარმომადგენელი კარინ კონტრე — 6:2, 7:6.

ფეხბურთი. ესპანეთში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება, რომლის ფინალშიც ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და გერ-ის ოლიმპიური გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. მანამდე სსრ კავშირის ოლიმპიელებმა დამარცხეს საბერძნეთის „ლარისა“ (6:0), მაროკოს ნაკრები (6:0), ბელგიის (ესპანეთი) „ატლეტიკოსთან“ შეხვედრა კი დამთავრეს ფრედ — 1:1. ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარებული იქნა ჩვენი ლენინგრადელი თანამემამულე ოუროშიძე („ზენიტი“).

ძიუდო. ქალაქ რუსეში (ბულგარეთი) გამართულ 20 წლამდე ასაკის სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრებაში რუსეთის ფედერაციის ძიუდოისტებმა მოიპოვეს ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. მათ შორის იყო კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე — ჩელიბინსკელი გივი ბაურგაშვილი. იგი 95 კილოგრამამდე წონის კატეგორიაში იყო უძლიერესი. ფინალში მან დაამარცხა ორჯონიკიძელი ხტანისლავ ჭასიელი.

ბადრაკი. შვეიცის ქალაქ შეიფფეტლოში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების ბოლო ეტაპის მეთორმეტე ტურში გარი კასპაროვმა რიფეელ ვაჰანიანი დამარცხა, დააგროვა 8 ქულა და 8 ტურით ადრე დაუფლა თასს. მას ახლა ანატოლი კარპოვი უკვე ველარ დაეწევა, ვინაიდან კასპაროვს მასთან ამ შეჯიბრების ექვსივე ტურნირის პირად შეხვედრებში უკეთესი ბალანსი აქვს. მეთორმეტე ტურში შორტმა დამარცხა ნიკოლიჩი, სალოვმა — ელვეტტი, ნანმა — პორტიში, კორჩნოიმ — ბიუბერი. კარპოვი დაუზავდა ტალს, ანდერსონი — რიბლის, ხალხი — სეირავანს. როგორც ავღნიშნეთ, შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურით ადრე კასპაროვს 8 ქულა აქვს, დანარჩენებს — კარპოვსა და შორტს — 7,5-7,5, სალოვსა და სეირავანს — 7-7, ანდერსონსა და პორტიშს — 6,5-6,5, ელვეტტს და ხალხს — 6-6, რიბლის და ტალს — 5,5-5,5, ბიუბერს, კორჩნოის და ნანს — 5,5, ნიკოლიჩს — 4,5, ვაჰანიანს — 3,5 ქულა.

იმსჯელეს ოლიმპიურ პრობლემებზე

ოლიმპიური მოძრაობის პრობლემები იყო სან-ხუანში (პუერტო-რიკო) მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 95-ე სესიის ყურადღების ცენტრში. სესიის გახსნისას ოლ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმ ხაზი გაუსვა, რომ თამაშების მონაწილე დელეგაციათა რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს და ამ პროცესს კონტროლი უნდა დაუწესდეს“. ამასთან დაკავშირებით ერთმანეთს შეუდარეს ბოლო თამაშების მონაცემები: 1976 წელს — 6189 მონაწილე, 1980 წელს — 6923, 1984 წელს — 7055, 1988 წელს — 9417. ითქვა თამაშების კომერციულ მხარეებზე, ისეთ ბორტებზე, როგორიც დოპინგია.

სესიამ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების მსვლელობა, ზაფხულისა — ბარსელონაში (ესპანეთი), ზამთრისა — ალბერვილში (საფრანგეთი).

ბაზალეთის ტბაზე. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

„საქართველოს კომუნისტი“ № 8

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი მერვე ნომერი.

რუბრიკით „ახალი აზროვნების კოორდინატები“, ჟურნალში დაბეჭდილია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ი. არჩვადის სტატია „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა და ღირებულების კანონი“ და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ვ. პაპავას — „ეკონომიკური მეცნიერების ენა ელის განახლებას“. ამავე რუბრიკით გამოქვეყნებული აგრეთვე ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილი ორი სტატია: ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. დეკანოიძის — „ეკოლოგია და მსოფლმხედველობა“ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ზაქარიაძე-საყვარელიძის წერილი — „შრომითი კოლექტივი და ეკოლოგიის საკითხები“.

ჟურნალში კვლავ გვხვდება რუბრიკა „მართვის ეკონომიკური მეთოდები და სამეურნეო პრაქტიკა“, რომლის ქვეშ დაბეჭდილია საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჯ. ჩხიკვაძის წერილი „ნაკლოვანებანი სახალხო მოხმარების საქონლის ფასწარმოქმნაში“ და საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრის ა. კვეხაძის სტატია „ახალი სამეურნეო ურთიერთობის სამართლებრივი უზრუნველყოფა“.

რუბრიკით „საქართველოს ეკონომიკური პრობლემები“ დაბეჭდილია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ლეკვეიშვილის სტატია „მეცეტრუსეობა: პრობლემები, პერსპექტივები“ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ქვეგანყოფილების უფროსის შ. მურჯიკნელის სტატია „მინერალური წყლების მნიშვნელობა“.

უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე, მათთან არსებულ კონტაქტებსა და შემდგომში ურთიერთობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე მოგვითხრობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ო. გიგინეიშვილის ვრცელი წერილი — „უფრო ახლოს თანამემამულეებთან“.

ეროვნული სპორტი

ეროვნული ოლიმპიადა

ათეროსკლეროზი და იშემიური დაავადება ბავშვებში?

ეს წერილი ყველა ჩვენგანს ეხება, რადგან, როცა ესა თუ ის დაავადება ფართოდ გავრცელებას იწყებს და ეპიდემიის ხასიათს ღებულობს, მხოლოდ ექიმთა ძალისხმევა საკმარისი არ არის. ასე იყო შუასაუკუნეებში, როდესაც ადამიანები იღუპებოდნენ ყვავილისა და ქოლერისაგან. ასე იყო — XIX საუკუნეშიც, როდესაც ტუბერკულოზი კატასტროფიულად გავრცელდა. ასეა ამჟამადაც: ათეროსკლეროზით, ჰიპერტონული და გულის იშემიური დაავადებისაგან რამდენიმე ათეული მილიონობით ადამიანი აეადება და იღუპება. წარმატების მისაღწევად აუცილებელია მეცნიერებისა და ექიმების, სოციოლოგების ერთობლივი შრომა. ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ ინფარქტის დასამარცხებლად. ამისათვის კი საჭიროა სწორი ორიენტაცია. წერილსაც სწორედ ეს მიზანი აქვს.

მიოკარდიუმის ინფარქტი არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი დაავადება, უმრავლეს შემთხვევაში ის გულის კორონარული არტერიების ათეროსკლეროზის გართულებაა. სიტყვა „ათეროსკლეროზი“ ყველასათვის ნაცნობია, ეს აიხსნება ამ პათოლოგიისა და მისი კლინიკური გამოვლინების — გულის იშემიური დაავადების ფართო გავრცელებით.

ტერმინ „ათეროსკლეროზი“ შედგება ბერძნული სიტყვებისაგან და „ფაფისმაგვარ შემადგენლობას“ და „გამკვრივებას“ ნიშნავს. ამით ხაზგასმულია, რომ ათეროსკლეროზი არის არტერიების დაავადება, რომლის დროსაც სისხლძარღვის კედელში ჩნდება ფაფისმაგვარი მასა, ირგვლივ გამკვრივებული კაფსულით. ფაფისმაგვარი მასა შეიცავს ცხიმისმაგვარ ნივთიერებას, რთულ ნახშირწყლებს, უჯრედის დაშლის პროდუქტებს და კალციუმის მარილებს. კორონარული არტერიების ათეროსკლეროზის ყველაზე ხშირ გამოვლინებას წარმოადგენს სტენოკარდია, ისევე როგორც მიოკარდიუმის ინფარქტი. სტენოკარდია არის გულის კუნთის სისხლმომარაგების დარღვევის (იშემიის) შედეგი.

ათეროსკლეროზსა და გულის იშემიურ დაავადებას წამყვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში. ბოლო დროს გულის იშემიური დაავადებისაგან სიკვდილიანობა 30 წლამდე ასაკის პირებში 15-20 პროცენტით გაიზარდა, რამაც საფუძველი მისცა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტებს იგი აკობრიობის უდიდეს ეპიდემიად გამოეცხადებინათ. თუ არ შემუშავდა პროფილაქტიკა, დაავადების წინა და საწყისი პერიოდის შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე ამოიკითხონ. ერთ-ერთ უთნელეს სცენაში, საბერძნეთიდან რომში დაბრუნებულ დასთან დიალოგში, ჟორამ შესძლო კეისრის სულის იმ ფასალართულ ლაბირინთებში ნვდომა, რომელიც თითქმის მიუწვდომელია. ეს სცენა ყოველთვის იმსახურებდა მაყურებლის ხანგრძლივ ტაშს, ეს იყო ოვაცია. ამ ეპიზოდში ჟორა კახური ქუდითაც რომ გამოსულიყო, კეისრის ჭკვიანად გააზრებული სულის ზიგზაგი უსათუოდ იმავე ოვაციას გამოიწვევდა. ეს იყო ზეიმი მსახიობის ხელოვნებისა. საბჭოთა თეატრების ოთხი დადგმა ვნახე ამ პიესისა და ჟორას კეისარს ვერავინ მიუახლოვდა.

ანტონიოსამდე დავდგი ლევან გოთუას „დავით აღმაშენებელი“. ეს იყო 1940 წელი. ჭყონდიდელის როლი ჟორას რომ ვანდე, ბევრი აღშფოთდა, ამ „ჯინტომ“ დავით აღმაშენებლის ბრძენი აღმზრდელი როგორ უნდა ითამაშოსო.

ითამაშა და მერე როგორ!!!

დიდი მსახიობი იყო გორგი შავგულიძე და დიდად მიხარის, რომ მასთან თანამშრომლობა მარგუნა ბედმა.

ვახტანგ ტაბლიაშვილი.

სურათზე: გ. შავგულიძე კეისრის როლში.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-14, ზოგან 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 30-35, მთაში 28-33, მაღალმთიანეთში — 20-25 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში 30-35, მთაში 28-33, მაღალმთიანეთში — 21-26 გრადუსი.

თბილისში: დარი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — 32-34 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

უკანასკნელ საათს

ბუენოს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამესამე ტურის მატჩები. თბილისის „დინამომ“ უმასპინძლა ოდესის „ჩერნომორეცს“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ტელევიზია—ხუთშაბათი, 31 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ათლეტიზმი. 14.20 — ქართული მხატვრული ფილმი „წინაპართა მიწა“. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ჩიპოლინო“. 17.25 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი თვითმოქმედება“. 18.00 — განცხადებები. 18.10 — წერილის დღე. „ექო“. 18.45 — „იავნანა“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 21.15 — „ქართული მიწის გასაჭირი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ფილმის შუქ-ჩრდილი“. ქართული მხატვრული ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“.

მეორე პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ათლეტიზმი. 14.20 — ქართული მხატვრული ფილმი „წინაპართა მიწა“. 15.45 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 16.25 — მხატვრული ფილმი „იმპროვიზაცია ბიოგრაფიის თემაზე“. 17.40 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ“ (გადაცემა ლენინგრადიდან). 18.10 — სატელევიზიო დადგმა „რამაიანა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ჩემი საყვარელი კლოუნი“. 22.00 — „ვრემია“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.55 — „მიხაილო ლომონოსოვი“. მეორე ფილმის პირველი სერია. 11.05 — მულტფილმი. 11.45 — „ცისარტყელა“ (რუმინეთი). 12.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „სახელმწიფო იცავს“. 12.45 — „ორი ცხოვრება, ორი ბედი“. რუსეთის სფსრ სახალხო არტისტ ლ. სუხარევსკაიაზე და სსრკ სახალხო არტისტ ბ. ტენინზე. 16.35 — სიბელიუსი. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის რე მინორი. 17.10 — დოკუმენტური ტელეფილმი „შანსი“. 17.40 — „ბავშვებს მხეცების შესახებ“. 18.10 — „უკრავს სასულე ორკესტრი...“. გადაცემა პერმიდან. 18.30 — მულტფილმები. 19.00 — „იმპულსი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.45 — „მიხაილო ლომონოსოვი“. მეორე ფილმის მეორე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მსოფლიო კინოკამერაში. 23.35 — ფილმ-ბალეტი „გალატეა“. 0.30 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „დ. ლიხაჩოვი. მე მაგონდება...“. 10.25 — კონცერტი. 10.50 და 13.30 — ესპანური ენა. 11.20 — მ. ლერმონტოვი. „დემონი“. 12.05 — ახალი ამბები. 12.15 — ფილმი — ბავშვებს. „ყველაფერი კატით დაიწყო“. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — მხატვრული ტელეფილმი „მილენინა“. II სერია. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — მხატვრული ტელეფილმი „ბალადა კომისარზე“. 19.15 — მულტფილმი. 19.25 — თანამედროვე ხუთჭიდი. ვაჟები. 19.55 — ფეხბურთი. „პამირი“ — „სპარტაკი“. შესვენებისას — 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.50 — შუბერტი. ექსპრომტი დო მინორი. ასრულებს დ. ბაშკიროვი (ფორტეპიანო). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „მილენინა“. II სერია. 23.45 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07915 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორაუსი, ოქუბარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14